



დეკლარაციის კანდიდატები

მართალი სპორტის მოყვარულები ამ მანდილოსანს კარგად იცნობენ. უფროსობა მას ხშირად ვხვდებით თბილისის „დინამოს“ სტადიონზე...

„მე საქართველოს ტკივილით ვსსოვრობ!“

ქალბატონო ცილა, რატომ მაინცდამაინც ხონი?... იქ ბავშვობა მაქვს გატარებული და დღემდე გამოძვრა სიყვარული ხონის მიმართ...

გამოცხადება და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ფედერაციის შექმნა. როგორ გეხატებათ მათი განვითარებას გზები? უნივერსიტეტზე არ ვდარდობ...


ცილის გამო აღილი ვერ უპოვია ცხორებაში? ბევრი შიშობს, რესპუბლიკის ჩემპიონატის ჩატარებით თბილისის „დინამოს“ კლასი დაქვეითდება...

ვაფასებ ვინმეს იქნე შენი მონაწილე ვერ მივცემ. არ მიყვარს ტროლიკო ნივთიერების მიმართ ქონებას დაგროვება...

ირბ-ში გაერთიანება ეჭვს აღარ იწვევს

სწორთან, თანამშრომლობის ხელშეწყობას დადებდა, თანაც ქართული კლუბები დაუყოვნებლივ მიატოვებდნენ საკავშირო შეჯიბრებებს...

და დახვეწის და ხელმძღვანელად მოამზადოს. მკითხველმა შეიძლება იკითხოს, ამდენი მიღწევის შემდეგ რა საკითხია სსრ კავშირის ჩემპიონატში ქართული გუნდების მონაწილეობა...



ეროვნული სპორტის სახეობით იწყება

მეთექვსმეტე დაიწყო ტრადიციული სპორტული თბილისის ინტერნაციონალური ტენისკემპი და სპორტდარბაზში მეთექვსმეტე ახშიანდა დოლი და ზურა. ტენისკემპში კიდობა უყვართ...

კალთა ტრადიციული

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა კვლავალ რვა მარტისდღი მიძღვნილ ტრადიციულ საქალაქო სპორტკვიადის სხვა სახეობებშიც (I და II ჯგუფებში) დამთავრდა ასპარეზობები...

საქართველოს სპორტის განვითარების მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს სპორტის განვითარების მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელების მიზნით...

დეკლარაციის სპარტაპიადის ლაპარაკები. საპარტაპო კრივი კვლავ იბრუნებს ძველ პოპულარობას. ამას მოწმობს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში გახსნილი კრივის სპეციალიზებული სკოლები და ჩაკლები, ტარდება მრავალი შეჯიბრება.

მკითხველი გმთავრობს. აზრს გვიზიარებს

# პროპინდიალიზმი — უკუღმკობეობა იმედა

დიდი სიხარული მიანიჭა ბევრ ჩვენთაგანს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გადაწყვეტილებამ — ეწოდოს მათ კლუბს „იბერია“. ეს არჩევანი არ არის შემთხვევითი. ჯერ კიდევ 15 წლის წინ — 1975 წლის 31 აგვისტოს „ლელომ“ გამოაქვეყნა სახელგანთქმული მოღვაწეებისა და სპორტსმენების ნიკო კეცხოველის, არჩილ ქურდიანის, იოსებ ნონეშვილის, ვახტანგ ჭელიძის, გიორგი ფორცხაიაშვილის, გია ქურდიანის, მიხეილ ბერძენიშვილის, ნოდარ ასათიანის, გურამ სალარიძის და ზორბეგ ებრაელიძის წერილი „დავარქვით იბერია“, იმედად რეკონსტრუირებული „დინამოს“ სტადიონის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. ანალოგიური განცხადებით მიმართა იმავე წლის 6 აგვისტოს სპორტკომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს აბაღაბრიძე მეტეორ-მუშაია კულტურის კომისიამ. ამასთანავე, 1976 წლის 21 მარტამდე გაზეთ „ლელოში“ შემოსული წერილების შესწავლამ ცხადყო, რომ სტადიონის სახელის შეცვლის მომხრე იყო 103 ქართველი, წინააღმდეგი — 2. მათგან სახელწოდება „იბერია“-„ივერია“-„ეზრობოდა — 82, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის სახელწოდების შეცვლას მოითხოვდა 123 წინააღმდეგ 20-ისა, მათგან „იბერია“-„ივერია“ — 116. ერთი წლის წინ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მკითხველთა გამოკითხვის შედეგებით „იბერია“-„ივერია“ უპირატესობა მიანიჭა უკვე 5845 ქართველმა, მათგან „იბერიას“ — 3896, „ივერიას“ — 1949, დანარჩენი 1175 ხმა განაწილდა სხვა სახელწოდებებზე, „დინამოს“ გადაარქმევის წინააღმდეგი იყო მხოლოდ 116 პირი („ახალგაზრდა კომუნისტი“, 04.03.89 წ.).

„ხმა ზღვრისა და ხმა ერისა“, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს „ხმა“ დარჩა „ხმად მლადედებულა უდაბნოსა შინა“.

ამჟამად იყო, რომ ამ საკითხს საშველი არ დაადებოდა დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებამდე. ის კი არა, „დინამოელობა“ ზოგიერთისათვის ლამის ქართულობის სინონიმად იქცა! შეძლილი „დი-ნა-მო!“ ჩვენს ეროვნულ სპორტულ მემკვიდრეებს მიანიჭებდა

ლო, რომლითაც ქართველი გულშემოტიკრები საქართველოს ნაკრების სპორტსმენებს ამხნველებდნენ (იხ. „კომუნისტი“ 10.03.79 წ. „ლელო“, 29.07.79 წ.).

სპორტული გუნდისათვის სახელწოდება „იბერია“ უფრო მიზანშეწონილი ჩანს, ვიდრე „ივერია“. სახელწოდება „ივერია“ სრულიად განსხვავებულ სფეროს განეკუთვნება ჩვენი ერის ცხოვრებაში; გავისვენოთ ივერიის ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, ილიასეული „ივერია“ ამასთანავე, სასურველია ახლებური დატვირთვა შეიძინოს სახელწოდება „იბერია“. ჩვენი სახელმწიფოებრიობა ხომ იბერიის სამეფოში იღებს სათავეს, ხოლო ქართველურ ენებს (კართლს, მეგრულს, აბხაზურს, სვანურს) — იბერიული ენები ეწოდება. ჩვენს ძველ ისტორიულ სახელწოდებაზე უარს ვერ ვიტყვით იმის გამო, რომ მან შესაძლოა ვინმეს ლაგერზე ბერების სახელთან აღუძრას ასოციაცია. ეს, უბრალოდ სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს!

ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს მიანიჭა, რომ სპორტული გუნდებისთვის ეროვნული უტყუარობის მქონე სოლიდური სახელები შეერჩევა პროვინციურობის ნიშანი და მათგან თავის შეკავებას გვიჩვენებს.

ჩვენს წამყვან გუნდებს, რომელთაც ეროვნული პრეტენზიების მქონე ბრძოლის სიმძიმე დაწვევდა, შემთხვევით სახელწოდებებს ვერ ვუწოდებთ. გუნდის სახელწოდებას რომ გარკვეული ფუნქცია აქვს, იქიდანაც ჩანს, რომ მისი უფროსი სხვადასხვა მხარეების და პატარა ქვეყნებში საქმით რაოდენობით გვხვდება სპორტული კლუბები ზოგადსაკუბრობო თუ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი — ეროვნული შინაარსის მატარებელი სახელებით. გავისვენოთ, თუნდაც ვენის „აუსტრია“ და მიუნხენის „ბაიერნი“, ბარსელონის „ესპანოლი“, გლასგოს „სელტიკი“, მექსიკისა და კოლუმბიის „ამერიკა“, პარიზის „სტად ფრანსე“, რომის „ლაციო“, ირლანდიის „ვიტორია“, ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“, ნორვეგიის „ვიკინგი“, მადრიდის „კასტილია“, კრაკოვის „პოლონია“, პრადის „სპარტა“, სთფის „სლავია“, ამსტერდამის „აიაქსი“, სანტიაგოს „კოლო-კოლო“, რომ-დე-ლანის „ვასკო და გამა“, ესტონეთის „კალევი“, მოსკოვის „სპარტაკი“, ერევნის „არარატი“, ლიუვის „ეალგორისი“, საბერძნეთის „ეთნიკოსი“ და „ოლიმპიკოსი“, მონტევიდეოს „ნასიონალი“, მილანის „ინტერნაციონალი“, ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტე“, გერმანიის „ინტრატი“ და „ბორუსია“ და მრავალი სხვა.

ჩვენს წამყვან სპორტულ კლუბებს ალბათ უპირველეს ყოვლისა ისეთი სახელები უნდა შევუერთოთ, რომლებიც საცნაურს გახდიან სპორტის მოყვარულთა ფართო საზოგადოებისათვის ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას და ამით, როგორც ერთ გუნდებს, ასევე ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის ამაღლებას შეუწყობენ ხელს. ასეთი სახელწოდებები ჩვენთვისაც და სხვათათვისაც მრავლისმეტყველო და ყველა ჩვენთაგანისათვის თანაბრად ახლობელი, ბევრია: „იბერია“ და „კოლხიდა“, „კავკასიონი“ და „პრომეთე“, „ამირანი“, „დიოსკურია“ და „ფაზისი“, „რიონი“ და „უქიმერიონი“, „არაგვი“ და „არგო“, „აიეტი“, „ქართლოსი“ და „არმაზი“, „მესხეთი“ და „ეგრისი“, „ხალიბი“ და „ქალიდეა“, „ტაო“ და „დიდგორი“, „ორბი“ და „ხობობი“...

ჩვენს მდგომარეობაში პროვინცი-ალიზმი იქნებოდა არა კეთილმოგონი და ღრმა ეროვნული შინაარსის მატარებელი სახელების შეერჩევა სპორტული კლუბებისათვის, არამედ მათი უკუღმკობეობა.

წერილის დასასრულს, გვინდა შევეხეთ ერთ სპორტულ ტერმინს, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვენს სტადიონებზე გამაზნეველ შეძახილად მოგვევლინა. მსგავსეობაში გვაქვს ინგლისური ტერმინი „გოლი“. გავისვენოთ, რომ ერთ დროს ქართულში ფართოდ და ხანგრძლივად გამოყენებული უცხოური სპორტული ტერმინები ძირითადად უკვე გადმოქართულდებულია, მით უფრო საშუალო საქმედ მიგვაჩინა ახვალთაგანვე არსებული ქართული სპორტული ტერმინის „გოლის“ სრულფასოვანი აღდგენა (არა მხოლოდ მორაგბეებისათვის) და დატვირთვა მისი უქმარიტი მნიშვნელობით — დათქმული ადგილი, სადაც მოწინააღმდეგე ბურთი უნდა მიიტანოს! — ანუ ის, რასაც ჩვენი დღეს „გოლს“ ვუწოდებთ.

**გიორგი ჯავთარაძე,**  
არქეოლოგი,  
თბილისი, 7 მარტი.

# კახეთმა რაღა ღაპუპა?

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას სათავე დაედო არა ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტი, არამედ ფეხბურთით! ეს ფაქტი კი იმაზე ღადაღებს, რომ ფეხბურთი ქართველებისთვის ყველაფერია, ფეხბურთის დავალებულმა გარკვეული მსხვერპლი გავიღეთ და ეროვნული საქმე უფრო წინ დავაცინეთ, ვიდრე პირადი სიამოვნება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ამიტომაც ერთმა და ბერმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირეთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას.

და, აი, გავხებთში გამოქვეყნდა ძუნწი ოფიციალური ინფორმაცია, რომ გამართულია რესპუბლიკის ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის გაფართოებული სხდომა, დაუდგინათ, რომ 1990 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფში იასპარეზებს 18 გუნდი!

ჩვენთვის საკვირველია, რომ დღეს, როდესაც ასეთი საქარობაა მივლს ქვეყანაში, რატომ ინფორმაცია არ ყოფილა პრესაში, თუ ვინ იწივს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები? ან რატომ არ გამოიტანეს ფართო მსჯელობის საგანად თუ რომელია გუნდებმა უნდა მიიღონ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფში ასპარეზობის უფლება? დიდად გავაცვიფრა იმ ფაქტით, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფში იასპარეზებს 18 გუნდი, მაშინ, როცა ვეებერთელა საბჭოთა „კავშირში სულ 14 გუნდი ძინაწილებდა!

ნუთუ საქარობა ასე გავაფართოვით უმაღლესი ჯგუფში, განა 12 გუნდი არ ქმარდა? განა ჩვენს რესპუბლიკაში მოიძებნება ისტატია 18 გუნდი, რომლებიც შეინარჩუნებენ მაღალ საფეხბურთო კლასს? მაგრამ ფეხბურთის მსჯელობებმა, ეტყობა სხვა პრინციპით იტელმ-ღვანელს. მთავარია არა საფეხბურთო კლასი, არამედ ეროვნულობა

და ფეხბურთის მასობრიობა. კეთილი და პატროსანი, და თუ ეს მართლაც ასეა (ამაში სხვა აზრს ვერც ვხედავთ), მაშინ რა დააშავა საქართველოს ერთ-ერთმა განუყოფელმა; თითქმის მილიონი მაცხოვრებელი დასახლებულმა კახეთმა? იქნებ კახელებმა ცალკე ამირებენ თავიანთი ჩემპიონატის ჩატარებას?

ჩვენმა ოპონენტებმა შეიძლება ასე გვიპასუზონ: კახეთის რვა რაიონში არ არის ფეხბურთის ისეთი კლასი, რომ ისინი უმაღლესი ჯგუფში მონაწილეობდნენ, გამომხირონ თავი ქვედა ჯგუფებში და დაიმკვიდრონ ადგილი უმაღლესი ჯგუფში. ამასთან, ეტყობა, არც თვითონ გადაუკლბათ ხეყწინთა და მუდარით თავი და ჩვენი ხომ არ შევხვეწებოდითო. ასეთი პასუხი ერთი შეხედვით თითქოს ამართლებს მათს მოქმედებას, მაგრამ თუ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ვუყვრით საფუძველს და ეროვნულობას წინა პლანზე ვაყენებთ, ასეთი მსჯელობა ობიექტური არ იქნება. მაშინ ამ პირელობას დავაჩვენოთ არა საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოს პლუს ქართლის პირველობა, ვინაიდან 12 გუნდიდან 12 დასავლეთისაა და 6 — ქართლის (ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს).

ისიც ნუ დავგავიწყებდამ, რომ კახეთის რვა რაიონიდან ბოლო ერთ თვეში სუთი რაიონის პარტიულ-საბჭოთა ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა შეიცვალა და, ბუნებრივია, მათ არც „ეკლავთ“ ასეთი საქმისთვის პრეტენდია.

ჰქედან გამომდინარე, ისემა კითხვა, სად იყვნენ ასეთ ვითარებაში ქართული ეროვნული ფეხბურთის მსჯელობები? ნუთუ მათ არ შეეძლოთ ბოლომდე გამოეჩინათ ეროვნულობა, პარტიოტიზმი და ასე უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ ისედაც უმატრონოდ და მარტო „საწველად“ გამოსაყენებელი მრავალ-ტანჯული კახეთი? რა პასუხს ვცემთ კახეთის ახალგაზრდობას და ფეხბუ-


რთის უამრავ მოყვარულს? ნუთუ არ უნდა გავითვალისწინოთ მათი ფეხბურთისადმი სიყვარული. როდემდე უნდა იყოს კახეთში ფეხბურთი ჩამკვდარი?

დღეს, როდესაც ქართულ ფეხბურთში მკვიდრდება პროფესიონალიზმი, მოისპობა ასაკობრივი შეზღუდვები და ადგილობრივი წარმოშობის აუცილებლობა, ვფიქრობთ, კახეთის რაიონებს შეეძლებათ ორო-ორი ფეხბურთელი მიიწვიონ, შექმნან ერთი ხეირიანი გუნდი მაინც, მით უმეტეს, რომ ადგილებზეც გამოინახება რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა. ამასთან, იმ 18 გუნდში, როგორც ვიცით, სამს არა აქვს სათანადო საფეხბურთო ბაზა, კახეთში კი, კერძოდ, თელავსა და გურჯაანში წლების განმავლობაში უქმად ცდება მრავალათასიანი მათარების ტრამპინები. ვერც საფეხბურთო მინდვრებს დავდებთ წუნს. ერთი სიტყვით, თუ გული გულობს...

ვფიქრობთ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფში აუცილებელია მონაწილეობდეს კახეთის ერთი საფეხბურთო კოლეკტივი. ეს ხელს შეუწყობს ამ მხარეში ფეხბურთის შემდგომ პოპულარიზაციას და მალე კახეთშიც აღიზრდებიან მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებიც დაიცავენ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ღირსებას.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ ვიდრე გვიან არაა, როგორც რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია, ასევე კახეთის რაიონების ხელმძღვანელებიც სწორად გაიაზრებენ ამ მეტად ეროვნულ და პარტიოტულ აქციას და დროულად გამოაწვარებენ მათ მიერ დაშვებულ ლაფსებს.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი: **ბ. ოდილაშვილი,** **ფანჯარაძე, ნ. ჯიბრაძე,** **სულიძე 17** კაც.



# ინტერვიუ № 1 მანდატის გულგებელთან

სიმართლე გითხრათ, ვერახდროს წარმოვიდგენდი, რომ სპორტული გაზეთი შემომთავაზებდა ინტერვიუს, მაგრამ როდესაც გავიგე რაში იყო საქმე, დათანხმდი.

მაშ ახე, დღეს ვგებდავთ ინტერვიუს საფეხბურთო თემაზე შექმნილი მრავალი ცნობილი ფილმის ავტორთან, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ფედერაციის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარესთან, ამ ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის №1 მანდატის მფლობელ დედეგატთან, კინორეჟისორ ალექსანდრე ელენტთან.

**● ბატონო ალექსანდრე, ინტერვიუს პირდაპირ დელიკატური შეკითხვით დავიწყებ: ხშირად გახიზნის, ფეხბურთის ყველა საკითხში მხოლოდ პროფესიონალებმა უნდა გადაწყვიტონ...**

— მეც პირდაპირ ვიპასუხებთ: რასაკვირველია, ყოველი საქმე პროფესიონალების გასაკუთრებელია, როცა ეს საქმე გარკვეული დარგის არსს ეხება, ფეხბურთი იქნება ეს, კინემატოგრაფი, თუ სარეცხი ფეხბურთის წარმოება, მაგრამ არაფერი ამ ქვეყნად ერის ცხოვრებიდან განყენებულიად არ არსებობს, მით უმეტეს — სპორტი. აქ კი ყველას აზრია გასათვალისწინებელი, რადგან სპორტი არსებობს საზოგადოებისთვის და არა, პირიქით. რასაკვირველია, სასაცილო იქნება, თუ ფილოსოფოსი ურჩევს მწვრთნელს, რა სისტემით უნდა ითამაშოს გუნდმა, ან რომელი ბუცი უფროსია — „პუმა“ თუ „აიდასი“. მაგრამ იმავე სპეციალისტის აზრი ფეხბურთზე, როგორც ეროვნულ ფეხბურთზე, საზოგადოებრივ პროცესებთან მის შეთავსებაზე, უდავოდ უკრავსაღებია. მაგალითად, სულაც არ არის საჭირო უმაღლესი სპორტული განათლება, რომ მიხედვით — დღეს, როდესაც მოახლოებულია თავისუფლების ქარი აფრიალებს ჩვენს სამეფო-როვან დროშებს, მათს გვერდით „დინამოეობის“ „სოკომოტივებისა“ და „ცენტრმეტალურგმეების“ ალმების აღმართვა, ვიცოცხლავდ-მყოფური სიჭიქის გამოვლენა. ისიც ნუ დავგავიწყებდამ, რომ სპორტს და განსაკუთრებით ფეხბურთს ბევრი რამ შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას — კარგიც და ცუდიც. აი, ციტატა „ეაშინგტონ პოსტიდან“: „სპორტი ერთმანეთის მიმართ სიძულვილის გამოხატვის ერთი ფორმაა. ესაა უკანასკნელი

საშუალება, რომელსაც ჩვენი ცივილიზაცია აძლევს ორ ადამიანს ფიზიკური აგრესიისათვის ომის გარეშე... სპორტი ადამიანის მოღვაწეობის სფეროებიდან ყველაზე ახლოს დგას ომთან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ომში მსხვერპლი არ არის.“

ამ სიტყვების ავტორი ყოფილი ამერიკელი ფეხბურთელი რონალდ რიეგანი... ამიტომ დღეს-დღეობით „მშურ კეპიტოში“ უმაღლესი ეროვნული მწვრთნელი კონფლიქტის ეპოქაში მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში მოქცეული სპორტულია ცივილიზაციის სასიკეთო ინსტრუმენტად იქცეს.

რასაკვირველია, იდეალი იქნებოდა, ყველა კარგი სპორტსმენი, მასობრივ, ინტენსივად ასეთივე კარგი მამულევილი რომ იყოს, სამწუხაროდ, იდეალი ჯერ კიდევ მისაღწევია. ამიტომ ქართველმა საზოგადოებამ ქართული ფეხბურთი ეროვნული მოძრაობის მდინარეს შეუერთა. დღეს-დღეობით სპორტისა და ხელოვნების მიზანი ერთიანია — ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ოღონდ ეს, რასაკვირველია, კეთილშობილური მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს.

საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის (მე მას თამამად ვუწოდებ ისტორიულს) ძალიან ცოტად დრო გავიდა, მაგრამ აშკარად იგარჩნობა ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილზე მისი გავლენა. დღეს მართლაც საკვირველია, ჩანს, სულ ცოტა ხნის წინ ბევრი იმით ამაყობდა, რომ მიხეილ მექსს „რუსულ გარინჩად“ იხსენიებდნენ, რომ საქართველოს გუნდმა, რომელსაც სახელიც კი ანსურდული ჰქონდა, რუსეთის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ნახევარსაუკუნოვანი ისტორიაში მხოლოდ ორ-ორჯერ მოიგო ეს შეჯიბრებები. უკვე შეიძლება

**\* „ლიტერატურაზე გაზეთი“ 14.II, 1982 წ.**

**№ 31-4 33**

**იქნება ჯობილად?**

**სასიხარულოა**, რომ საქართველოს უპირველეს საფეხბურთო გუნდს, როგორც იქნა, შეეცვალა სახელი. თვით ფეხბურთელებმა მას „იბერია“ უწოდეს. ზოგიერთი, კერძოდ, პროფესორი რევაზ ბარამიძე, წინააღმდეგია, რომ ჩვენს გუნდს ქვეყნის სახელს უწოდოს. თითქოს ფეხბურთის ისტორიაში ამის ერთადერთი მაგალითი იცის. (ავსტრიის გუნდი — „აუსტრია“). მაგრამ ეს ასე არაა — მოვიგონოთ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“, „პოლონია“, „ბორუსია“, „ბაიერნი“, „სელტიკი“...

ჩვენ აქ გვინდა სხვა საკითხზე შევაჩროთ ყურადღება. სიტყვა „იბერია“ ჩვენი ქვეყანა აღინიშნებოდა ბერძნულ ენაზე. მაგრამ „იბე-

**გურამ უორანაშვილი.**

# ინტერვიუ № 1 მანდატის გფლოპელთან

(დასასრული)

ითქვას, რომ ამ წარმატებებს ბატონის ნასუფრალი ლუკის გემო ჰქონდა (თავად ფეხბურთელები, რასაკვირველია, არაფერ შუაში არიან, „გათამაშების“ სისტემა იყო უსამართლო და დამამცირებელი). რაც შეეხება 1981 წლის წარმატებას, იგი, ჩემი აზრით, ჩვენი სპორტსმენების ნიპირების შედეგია და არა საკავშირო საფეხბურთო სამყაროს ზეღმეუყობისა. დარწმუნებული ვარ, სხვა პირობებში მეტს მივაღწევით.

● ყველაფერი (შე ქართული ფეხბურთის ეროვნულ რეალობაზე გავხვდებით ვაულისხმობ) თქვენს დიდად გახმაურებული „ლელოს“ 8 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილით — „საქაროა თუ არა სხრკ ჩემპიონატი ფეხბურთში?“ — დაიწყო, გარკვეულად ამავ ხანგრძლივით ფიქრობდა, სრულიად საქართველოს მახლობლად გაშენებული პოლიტიკა გამოიწვია და საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ფედერაციის შექმნით დასრულდა. ყოველივე 8,5 ავეში მოხდა...

● ყველაფერი ბუნებრივია. დრომ მოიტანა და მოსახდენიც მოხდა. კიდევ ბევრიც აუცილებლად მოხდება. ჩვენი ეროვნული ენერჯია არასდროს მოდუნდება. ფეხბურთის საკუთმპყრობელიც ისეთი გვყავს, რომელმაც „პერსონალური მეურვეობის“ უშიშროს პირობებშიც ქართული გუნდი უდიდეს წარმატებამდე მიიყვანა. იმედი უნდა ვიქონიოთ (და ყველამ ხელი უნდა შევუწყუთოთ), რომ ნოდარ ახალკაცი კიდევ ბევრს მიადრწევს.

● ყველა რომ არ არის ერთი აზრისა ეროვნული ჩემპიონატის თაობაზე?

— ამას წინათ ერთი ნაცნობი შემიხვდა. დამინახა და შეჰკვივლა: „ეს რა ჰქენით ვი პოპულური გრუნიცია ფუტბოლი“, „ტი ნე პრავ, მე-გობარო“, — უკმაპუნე. მეტი რა შეთქვა ასეთისთვის? ისე, კი ცდებდა ის, ვინც ლამობს წარმოდგინოს ჩვენში აზრთა სხვაობა დაპირისპირებად. არ მეგულდება კაცი, ვისაც ჩვენი სპორტის დამავიკრებებელ ფაზად აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ ესახება.

● დღეს საქმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ რუსული ფეხბურთის მეშვეობით ქართველი ფეხბურთელების კლასი ამაღლდა. მართლა ასეა?

— ერთი შეხედვით თითქმის სპეციალისტისთვის დასმული კითხვაა, მაგრამ ვეცდები გიპასუხოთ, რადგან ქართული ფეხბურთის ისტორიის ბევრ ფურცელს, მეტ-ნაკლებად, გავცვიანი.

რასაკვირველია, რუს ფეხბურთელებთან ურთიერთობა დაეცაოთ ჩვენებს... ისევე, როგორც დაეცაოთ ურთიერთობა ინგლისელებთან, ბელგიელებთან, ფრანგებთან, თურქებთან, ბერძნებთან და ყველასთან, ვინც ჩვენს შვილდისპირეთში ჩამოდიოდა გემებით და ფეხბურთის თამაშობდა (სხვათა შორის, რუსებზე უკეთესად თუ არა, არც ნაკლებად). ამა გავიხსენოთ: ქართველებმა ფეხბურთით უშუალოდ ინგლისელებისგან ისწავლეს ფოთსა და ბათუმში. პირველი ცნობა ამის შესახებ 1890 წელს „ივერიამ“ გამოაქვეყნა.

● გამოდის, რომ ქართული ფეხბურთი 100 წლისაა?

— არ არის გამორიცხვული. თუმცა საგანგებო წერილში არაა აღნიშნული, ლელოს თამაშობდნენ მობურთაღნი თუ ფეხბურთის, მაგრამ ხანგრძლივია, ამ თამაშში გაკვირვება გამოიწვიათ. ვითომ ლელოს თამაში ჩვენში ვინმეს გააკვირვებდა, ეტყობა, ფეხბურთის თამაშობდნენ ბიჭები.

საერთოდ, ისტორია არ უნდა დავიწყოთ: ჩვენში „ფეხგორგალას“ ოდითგანვე თამაშობდნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისის „შეგარდნი“ 1906 წელს შეიქმნა, ფოთის „სოლოხეთი“ — 1913-ში, ე. ი. ჩვენ ვეროპაში ერთ-ერთი უძველესი კლუბები გვყავს. ექვი არ მებარება, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონს „26 მაისის სახელობის სტადიონად“ მონათლავენ — სწორედ ვაკის სტადიონზე ჩატარდა 1919-20 წლებში დამოუკიდებლობის აღსანიშნავი ზეიმები. ერთი მათგანი ინგლისელებთან „ბურთაობით“ დამთავრებულა. ისიც უნდა იცოდეს ჩვენმა ახალგაზრდობამ (და სხვებმაც), რომ ბევრი „შეგარდნი“ (მათ შორის ფეხბურთელიც) იცავდა სამშობლოს კოჯრის ბრძოლაში. ალბათ უხერხულა ბარალელოს გავლება მათსა და ოცდაათიანი წლების ზოგიერთ „ოსტატს“ შორის. ეს ყველაფერი უნდა გვახსოვდეს და არა მარტო „სტალინელებთან“ და „ტრაქტორებთან“ მოგებულ-წაგებული მატჩები. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ჩვენი ფეხბურთის ასი წლის თავზე ჩატარდება პირველი ეროვნული ჩემპიონატი და სტადიონებზე კვლავ იგრაილებს: „გუშაგობა ერს! მარა!“

● ზოგიერთის აზრით, „საკავშირო ჩემპიონატისგან“ მოწყვეტა გვავენებს...

— დრო გვიჩვენებს, ვის რა დააკლდება. „დიდ ურუგაველებს“ რუსები ჩვენ გვიწოდებდნენ და არა პირობით.

● ზოგიერთის აზრით, „საკავშირო ჩემპიონატისგან“ მოწყვეტა გვავენებს...

● და ბოლოს ტრადიციული შეკითხვა: რას ინატრებდით?

— ჩემი სანუკერი ოცნებაა, ვინილო საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

● ეს — ფეხბურთში, მაგრამ თქვენ ხომ „გაორებული“ ბრძანდებით. კინოში რას ინატრებდით?

— ბოლოს და ბოლოს მინდა განვიხორციელო ჩემი ცხოვრების მთავარი ფილმის „სინარისის სახლის“ გადაღება, რომლის სცენარის დაწერას 17 წელი მოვანდომე. ამ ორსერიან მხატვრულ ფილმში მთავარი როლი იქნება თბილისის ისტორია დასაბამიდან დღემდე. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გეგმის პროექტის მიხედვით ეს სურათი 1989 წელს (შარშან) უნდა გამოსულიყო ეკრანებზე...

● ამ მომავალ ფილმზე მსჯელობაზე საუბრითაო ინტერესი გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. უამრავი წერილიც გამოქვეყნდა პრესაში თქვენს მხარდასაყრად, ის კი არაა, ზოგიერთი კომპერატივი ხუთნიშნა რიცხვით თანხის გადაცემის გარანტიას იძლევა, ბევრი ბანკში ანგარიშის გახსნას მოითხოვს. თქვენ ბევრი გულშემატკივარი გყავთ კინოშიც. უკუვართ ქართველებს ჩვენი თბილისიც და ჩვენი ფეხბურთიც. ახლა როგორია ფილმის საქმე.


— ჩემი ღრმა რწმენით, ქართულ კინოშიც, ისევე, როგორც ქართულ ფეხბურთში, ბევრი რამ მოსაგვირგებელია და რაც შეიძლება სასწრაფოდ. „ქართაგენი აქაც უნდა დაინგრეს.“ მხოლოდ მაშინ იძალებს ქეშპირიტი ეროვნულთა ჩვენს კინემატოგრაფში, ვერაფერს გაბედავს ხელი შეუშალოს საკუთარი სამშობლოს დედაქალაქზე ისტორიული ფილმის გადაღებას და მის მაგივრად სხვა, გუმწინდელ ემოციებზე აგებული სანახაობის შეთავაზებას განთავისუფლების გზაზე დამდგარი ქართველობისათვის. კინო ფეხბურთის არ უნდა ჩამორჩეს. სხვათა შორის, მომავალი ფილმის ერთ-ერთ ნოველას „სტალიონი“ ეწოდება. რა გავწყობა, უფეხბურთოდ არ შემიძლია...

● ბატონო ალექსანდრე, თქვენი ფილმის — „გურია! გურია! გურია!“ — გადაღებიდან ერთი წლის შემდეგ ლანჩხუთელი ფეხბურთელებმა უმაღლეს ლიგაში გადავიდნენ, მეორე ფილმის — „გვირგვინი თუ არა სხრკ ჩემპიონატი ფეხბურთში?“ — ეკრანზე გამოხვლიდან სამი თვის თავზე ქართული ფეხბურთი ეროვნული ვახდა. როგორც ვიცო, „სინარისის სახლში“ საქართველოს დამოუკიდებლობას საკმაო ადგილი დაეთმობა...

— სწორედ ამიტომ ებრძვის ამ ფილმს ჩვენი „პატრიოტი“ კინობიუროკრატია, მაგრამ აქაც ლელო უნდა გავიტანოთ. სხვა გზა არ არის: ჩვენს ერს თავისუფლება სჭირდება, ამ ფილმში კი სწორედ ეს იქნება ნაჩვენები.

გაუმარჯოს ქართულ კინოს და გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!

ესაუბრა მეთევან ჯაფარიძე.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ნუთი პატი

შედეგ უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. დონეცკი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შახტიორი“ და თბილისის „დინამო“ პირველი ტაიმი, რომელიც მასპინძლებმა 4 ქულით (48:44) მოიგეს მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. შესვენების შემდეგ ინიციატივა „შახტიორის“ მხარეს გადავიდა, რომელმაც გაიმარჯვა კიდევ — 106:86.

ალმა-ათმა ყაზახეთის დედაქალაქის არმიოტა და ლენინგრადის სპორტის ცენტრებში ჩატარდა მატჩები გამარჯვებული გმომკლებს დამატებითი დრო დასჭირდა ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს ერთი ქულით (42:41), ძირითადი დრო კი ფრედ (76:76) დამთავრდა. დამატებით დროში გამარჯვება ლენინგრადელებს ხვდათ — 86:85. წინა დღეს კი წარმატებას ალმა-ათელებმა მიადრწვეს — 93:75.

მოსკოვი. ადგილობრივი არმიოტისა და დინამოელთა შეხვედრაში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს. პირველი მატჩი მოიგო „დინამომ“ — 96:86, მეორე — ცსკა-მ 96:87.

## მათაშაშაშის ცხრილი

| მდგომარეობა       | 12 მარტისთვის |
|-------------------|---------------|
| ცსკა              | 85 30 5 85    |
| „დინამო“ (მ.)     | 86 27 9 83    |
| „კალევი“ (ტაუ.)   | 87 24 13 81   |
| ვეფ (რეგა)        | 88 23 15 81   |
| „ბურღვილინი“ (კ.) | 88 23 13 89   |
| „სპარტ.“ (ლენ.)   | 88 18 20 56   |
| „შალა.“ (კაუნ.)   | 87 18 19 55   |
| რტი (მინსკი)      | 88 12 26 50   |
| ასკ (ალმა-ათა)    | 81 18 13 49   |
| „დინ.“ (თბ.)      | 37 12 25 49   |
| „შახტ.“ (დონ.)    | 87 10 27 47   |
| „სტატია“ (ვილნ.)  | 40 6 34 46    |

## იტალია-80

### პირველი გოლი 10 ნოვინადა

ამერიკის ქალაქ ტამპაში ამ ქვეყნის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის ემზადება, ამხანაგური მატჩი გამართა ფინეთის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კალიჯურიმ და მურეიმ, სტუმართაგან — ტარიომ.

## ლიდაროს ჩემპიონი

პორტუგალიაში გამართულ საერთაშორისო რალიში მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა, იტალიელმა მასიმო ბისიონმა „ლანჩის“ მარკის ავტომანქანით საუკეთესო დრო აჩვენა, მას 16 წმით ჩამორჩა ესპანელი კარლოს საინსი („ტოიოტა“), მესამე ადგილზე კენეტ ერტიკონი (შვეიცია, „მიტუბისი“). ეტრაზე გამაწყვეტი აღმოჩნდა მეტეპატიე ჩქარისული მონაკვეთი (იგი პორტუგალიის მთიან გზებზე გადიოდა). სწორედ აქ იმარჯვა ბისიონმა და გაუსწრო უახლეს მღერებს, რომელთა შორის იყო ფინელი არი ვატანენი, არ გაუმართლა ქალთა ინტერნაციონალურ ეკიპაჟსაც. „ოპელ-კადეტით“ მთასპარზე შოტლანდიელი ლუიზა ვიტკენ-უოლკერი და შვედი კრისტინა ტორნერი, ვერ „მოერგნენ“ ერთერთ მოსახვევს და 50 მეტრის სიმაღლიდან ტბაში გადავარდნენ. საბედნიეროდ, ქალთა ეკიპაჟი არ დაშავებულა.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 15 მარტს.

რედაქტორი  
თ. ბაჩიჩილაძე.

## დღეს ფლორენსიაში

გაიმართება კალათბურთში ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი მადრიდის „რეალსა“ და ბოლონიის „ანოროს“ შორის. სახელგანთქმულ „რეალს“ წარდგინება არ სჭირდება. ის არის ესპანეთის 24-გზის ჩემპიონი. შეიძლება ფლობდა ჩემპიონთა თასს, ოთხჯერ საკონტინენტთაშორისო თასს, „რეალი“ ამჟამად თასების მფლობელთა თასის მფლობელია. პორტუგალიაში დრავიკე პეტროვიჩის წასვლისა და ავტოკატასტროფაში ფერანდო მარტინის დაღუპვის შემდეგ „რეალი“ ისევე ღარ ბრწყინავს, როგორც შარშან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ბელწამოსაკრავი გუნდია და სხაპილო პრიზის შენარჩუნების შანსი არ აქვს.

იტალიის საკლუბო გუნდის ბოლონიის „ანოროს“ მიღწევები საე-

რთაშორისო. სარბიელზე, რა თქმა უნდა; გაცილებით მოკრძალებულია. ბოლო ათწლეულის მანძილზე ყურადღებას იპყრობს სამი პერიოდი. (აღრე ეს კლუბი „სინუდინეს“, ხოლო, შემდეგ „გრანაროლოს“ სახელით გამოდიოდა). 70-იან წლების მიწურული, როდესაც ბოლონიის კლუბი „სინუდინე“ ვახდა იტალიის ჩემპიონი და წარმატებით იმსპარეზა საერთაშორისო სარბიელზე. 1981 წელს გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში, სადაც გადაწყვეტი მატჩში წაიფორბილა თელ-ავივის „მაკაბისთან“ შეხვედრაში — 79:81. ამ ხანებში გუნდის წარმატებებს უკავშირებენ იუგოსლავიელი მწვრთნელის ალექსანდრე ნიკოლიჩის, მისი თანამემამულის სხელებთან მული კალათბურთელის კრემიზირ ჩოსიჩის, იტალიის ნაკრების წევრე-

ბის რენატო ვილალტას, კარლო კალიტირისის სახელს. ბოლონიის გუნდის მეორე აღმავლობა იყო 80-იან წლების შუა ხანებში, როდესაც „გრანაროლომ“ მოიგო იტალიის ჩემპიონატი და თასი, თუმცა საერთაშორისო სარბიელზე ამჯერად რაიმე წარმატებისთვის არ მიუღწევია. 80-იან წლების ბოლოს, როგორც ეტყობა, ბოლონიის გუნდი კვლავ იკრებდა ძალეებს. ამის დასტურია ზედზედ ორი გამარჯვება იტალიის თასზე და თასის მფლობელთა თასის ფინალში გასვლა. ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის ამერიკელ ვარსკვლავს რიჩარდსონს. ფინალი ფლორენციაში ტარდება და ეს „ანოროს“ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, იგი ფაქტობრივად მასპინძლის როლში გამოვა, თუმცა ეს საბოლოო წარმატების საიმედო გარანტია არაა და ფინალური მატჩი იქნება თანაბარი ძალის მეტოქეთა უკომპრომისო შეხვედრა, სადაც წინასწარი პროგნოზის გაკეთება ძალზე ძნელია.

მარაპ კალანდაძე.

წმინდ მისხარატი:  
წერილებსთვის — 880888,  
თბილისი, ლენინის ქ. 14,  
დღეგრეხისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის კალათბურთში:  
წერილებს განყოფილება — 88-87-55,  
სამდგენი — 88-87-58,  
ინფორმაციის განყოფილება — 88-87-58,  
„მერანი“ — 88-87-38, „მანაგე“ — 88-87-37.

88950  
ინფორმაციის  
86435

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის წინაშე წაყვანილი დროის ინფორმაცია სტამბა. 880888, თბილისი, ლენინის ქ. 14, აბეჭდება ოცხტური წიხით ხაზგაყოფი კორპუსში: სიზარაულის, 29.  
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08748